ხაშურის მოამბე

№19 (100) 17 მაისი, ოთხშაბათი, 2017 წელი

კონსტიტუციის პროექტის საყოველთა-თაო-სახალხო განხილვა შიდა ქართლში

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ამჯერად გორში გაიმართა. განხილვაში, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრებთან ერთად, პრეზიდენტიც იღებდა მონაწილეობას.

კონსტიტუციური ცვლილებები საზოგადოებას პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ გააცნო.

მისი თქმით, მოქმედი კონსტიტუცია ეწინააღმდეგება სამართლებრივ პრინციპებს და მათ შორის ფუნდამენტურ პრინციპებს.

კობახიძის განმარტებით, კონსტიტუციაში არის უამრავი ტექნიკური ხასი-

ათის ხარვეზი, რედაქციული უზუსტობანი და, ყოველივე ამის გათვალისწინებით, შემუშავდა საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელმაც უნდა გაუძლოს დროს და წლების განმავლობაში უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სტაბილური განვითარება.

ამასთან ერთად, პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა და, ფაქტობრივად, თავიდან დაიწერა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტიც.

მანვე საზოგადოებას გააცნო კონსტიტუციის პროექტში დამატებები ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით.

კერძოდ, კობახიძის განცხადებით, კონსტიტუციის გარდამავალ დებულებებში არის დამატება, სადაც პირდაპირ, ერთგვარი დავალების სახით გაწერილია, რომ ყველა კონსტიტუციურმა ორგანომ უნდა მიიღოს ყველა ზომა საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად ევროკავშირსა და ნატოში.

პარლამენტის თავმჯდომარემ ისაუბრა პრეზიდენტის სტატუსთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ დღევანდელი კონსტიტუციით, საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს მეთაური, არის უმაღლესი მთავარსარდალი და იგი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში. მისივე განმარტებით, ეს არის პრეზიდენტის სტატუსის სამი ძირითადი ნიშანი და ეს სამივე ძალაში რჩება.

მან პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესიც განმარტა და აღნიშნა, რომ ძალიან ბევრ საპარლამენტო სისტემის ქვეყნებში პრეზიდენტის არჩევა სწორედ არაპირდაპირი წესით ხდება. მისივე განცხადებით, ერთ-ერთი მთავარი პრაქტიკული პრობლემა ისაა, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი არ მართავს ქვეყანას. იმ სისტემაში, რაც დღეს არის ჩამოყალიბებული, პრეზიდენტმა უნდა ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია და იგი რომელიმე პარტიასთან ასოცირდება არჩევნებზე, კონსტიტუციის ახალი მოდელით კი პრეზიდენტი ზეპარტიული უნდა იყოს. საერთაშორისო ევროპული პრაქტიკაც, კობახიძის თქმით, საპარლამენტო მმართველობის დროს მიზანშეწონილად არ მიიჩნევს პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას.

ირაკლი კობახიძის განმარტებით, პრეზიდენტის სტატუსი არ იზღუდება, არამედ მინიმალური ცვლილება შეეხება კომპეტენციებს - ესაა ეროვნული უშიშროების საბჭო (იგი უქმდება) და უზენაესი სასამართლოს წევრის წარდგენა. ეს ცვლილებები, ირაკლი კობახიძის განმარტებით, ეფუძნება ვენეციის კომისიის დასკვნებს, რომლებიც ჯერ კიდევ 2010 წელს დაიდო.

განხილვაზე დამსწრეთა მიერ დასმულ მრავალ შეკითხვას გაეცა პასუხი.

აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების 72-ე წლისთავი

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 72-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი გვირგვინით შეამკეს საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა სიმონ

ნოზაძემ და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა. ცერემონიას ესწრებოდნენ საკრებულოს თავჯდომარე ვაჟა შუბითიძე, წარმომადგენლები საკრებულოდან, გამგეობიდან და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები.

მემორიალის გვირგვინით შემკობის შემდეგ, ხაშურის თოჯინების თეატრის შენობაში, ფაშიზმზე გამარჯვების 72-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა.

ღონისძიებების ორგანიზატორი იყო, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების კულტურის და სპორტის სამსახური. ამავე სამსახურის ინიციატივით, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს საჩუქრად სასურსათო პაკეტები გადაეცათ.

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებმა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამიდან 300 ლარიანი, ხოლო საქართველოს მთავრობისგან 600 ლარიანი ფინანსური შემწეობაც მიიღეს. თითოეულ ვეტერანს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ღია ბარათით ფაშიზმზე გამარჯვების დღე პირადად მიულოცა.

საქართველოს ტერიტორიაზე მტკვრის დონემ აიწია

გარემოს დაცვის სამინისტროს ცნობით, ამის მიზეზი, თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული კაშხლიდან, წყლის მასის გაშვება გახდა.

სახელმწიფო უსაფრთხოების კრიზისების მართვის საბჭოს წარმომადგენლის ცნობით, ყველა შესაბამისი უწყება მობილიზებულია.

კაშხლიდან წყლის გაშვების შესახებ, თურქეთის მხარემ საქართველოს ხე-

ლისუფლების შესაბამისი ორგანოები 10 მაისს გააფრთხილა.

გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მოსახლეობას ურჩევენ, რომ უახლოეს პერიოდში სათევზაოდ წასვლაზე თავი შეიკავონ.

წყალუხვობა რამდენიმე დღე გაგრძელდება, რადგან მთებში თოვლიც დნება.

-სოფლის მეურნეობა --

მომავალზე ორიენტირებული კოოპერატივი

დღევანდელ ნომერში სოციალური დაცვის სამინისტროს ხაშურის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსს გოჩა ბარბაქაძეს სულ სხვა თემით და სულ სხვა ამპულაში წარმოგიდგენთ. ბატონი გოჩა სოფლის მეურნეობაში აქტიურად ჩაერთო, რომლის წარმატებით განხორციელების დიდი იმედიც აქვს. წამოწყებაში სახელმწიფო პროგრამებმაც შეუწყო ხელი, როგორც თავად აცხადებს, დანებებას არ აპირებს, პირადი სარგებლის მიღებასთან ერთად, სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში თავის წილ გასაკეთებსაც გააკეთებს.

უფრო დაწვრილებით ინფორმაციას მკითხველი ინტერვიუდან შეიტყობთ.

- ბატონო გოჩა, აქტიურად როდის ჩაებით სოფლის მეურნეობაში, როდიდან დაინტერესდით ამ სფეროთი?

– ჩემი დაინტერესება სოფლის მეურნეობით ბავშვობიდან მოდის, ყოველთვის მიყვარდა მიწაზე მუშაობა და საკმაოდ შრომისმოყარეც გახლდით. რაც შეეხებაა აქტიურ ჩართულობას, მეორე წელია ამ სფეროში ვარ. განსაკუთრებით გავაქტიურდი, როდესაც სოფლის მეურნეობის ხელმშეწყობი პროგრამეები წარმატებით ამუშავდა ჩვენს ქვეყანაში. ცალსახაა, რომ სახელმწიფოს გვერდში დგომა ვიგრძენი მეც და სოფლის მეურნეობაში ჩართულმა თითოეულმა მოქალაქემ. მაქსიმალურად მოვიძიე ინფორმაცია აღნიშნული პროგრამების შესახებ და ამ შანსის გამოყენებაც არ დავაყოვნე.

- ამ საქმის პირველ ეტაპზე რა განახორციელეთ?

– თავდაპირველად, 2016 წელს, შევქმენით კოოპერატივი, რომელშიც, უმეტესად, ახლობლები გავერთიანდით, გამომდინარე იქიდან, რომ ამ საქმეში წარმატების იმედი თითოეულ ჩვენგანს გვქონდა, სახელიც შესაბამისად ვუწოდეთ - „იმედი-2016". კოოპერატივში 12 ადამიანი ვართ გაწევრიანებული. შემდგომ ეტაპზე კი, შევიძინეთ 12 ჰექტარი, სოფელ გომში, კეძო პირისგან.

- რომელი სახელმწიფო პროგრამით ისარგებლეთ?

– ვისარგებლე სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი"-ით, რომელმაც ძალიან დიდი შედავათი გაგვიკეთა. პროექტი ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო "ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით. თანადაფინანსება ხორციელდება ორი დამოუკიდებელი კომპონენტის ფარგლებში: მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი და სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი. პოტენციურ ბენეფიციარს შეუძლია ისარგებლოს პროგრამის ორივე კომპონენტით დადგენილი წესებითა და პირობებით. ხეხილის ბაღი შვიდ ჰექტარზეა, რომლის გასაშენებლადაც 70% ნერგებისა სახელმწიფოსგან მივიღეთ და 30% ჩვენი სახსრებით შევიძინეთ. ასევე სარწყავი სისტემაა დამონტაჟებული, რომლის ღირებულების 50%-ს დაფინანსება მივიღეთ ამ პროგრამით.

- ძირითადად რა კულტურული ჯიშები მოგყავთ?

– ამჟამად, 7 ჰექტარზე დავრგეთ 3500 ძირი ქლიავი, 400 ძირი ბალი, რომელიც ნაყოფს 2 წელიწადში მოგვცემს, ასევე 100 ძირი მსხალი, შინდი და 7000 ძირი ჟოლო, რომელიც უკვე წელს მოგვცემს ნიშას.

- დანარჩენ 5 ჰექტარზე?

– ამ ეტაპზე, დარჩენილ 5 ჰექტარზე დათესილი გვაქვს საუკეთესო ჯიშის კარტოფილი. სანამ მიწას ვიყიდდით, ძველ მფობელს ამ ტერიტორიაზე ქერი მოჰყავდა, შესაბამისად, იმ წელს რამის დათესვა შეუძლებელი იყო. მეზობელი სოფელში, ვიქირავეთ ჰექტარნახევარი მიწის ფართობი, სადაც დავთესეთ ფაბულას ჯიშის კარტოფილი, რომელიც კილო 2.85 ლარი ღირდა და სპეციალისტების თქმით, სამი წელი მუშაობს. გამოვიყვანეთ ჩვენთვის საჭირო სათესლე მასალა. საკმაოდ კარგი მოსავალი მივიღეთ, რომლის ნაწილი, წელს, გაზაფხულზე, დავთესეთ ნაწილი კი-გავყიდეთ. ჩვენი კოოპერატივის მფლობელობაში კიდევ 10 ჰექტარია სოფელ სათივეში, სადაც სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ვაწარმოებთ მომავალში, წელს კი, მიწა რომ არ გაცდენილიყო, 5 ჰექტარზე დავთესეთ ლობიო, 1 ჰექტარზე კი - პომიდორი და კიტრი.

- მომავალში მეურნეობის განვითარებას თუ გეგმავთ?

– უახლოეს მომავალში ვაპირებთ ტექნიკის შეძენას. ტრაქტორის გვესაჭიროება, თავისი დამხმარე საშუალებებით, რომლის ღირებულების 40% გვიფინანსდება პროგრამის ფარგლებში. რაც შეეხება ხვნა-თესვის სამუშაოებს, შპს „მექანიზატორი"-მა განახორციელა, რომელიც უმაღლეს სტანდარტებს უზრუნველყოფს.

- დასაქმებულები თუ გყავთ თქვენს მეურნეობაში?

– გარდა იმისა რომ კოოპერატივში შემავალი თორმეტი ადამიანი ფიზიკურად ვშრომობთ, ასევე დასაქმებული გყვავს ორი დარაჯი, ბუღალტერი და პირი, რომელიც სარწყავი სისტემის მოწესრიგებას უზრუნველყოფს.

- მიღებული პროდუქციის რეალიზებას როგორ აპირებთ?

– ვფიქრობ, რომ ჯერ საწყის ეტაპზე ვართ და რეალიზაციაზე ლაპარაკი ნაადრევია, თუმცა ამაზეც, რასაკვირველია ნაფიქრი გვაქვს. პროექტის მიზანიც ხომ ისაა, რომ საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწები ეფექტურად გამოვიყენოთ მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლე-

ბა და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა. წარმატებები გვინდა ვუსურვოთ ახლადფეხადგმულ კოოპერატივს და ვიმედოვნებთ, შემდგომში მის მიერ მოწეული მოსავლის წვლილი, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ძალზე მაღალი იქნება.

თ. ახალკაცი

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ახალი ეტაპი დაიწყო

„მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში",11 მაისს, ხაშურში, თოჯინების თეატრის შენობაში გამართულ საინფორმაციო შეხვედრას, პროგრამის კომპონენტის მენეჯერი ირინე გიორგიძე ხელმძღვანელობდა, ხოლო შეხვედრას ორგანიზებას უწევდა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის, გამგებლის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის



პროგრამის ახალი ეტაპი 15 მაისიდან დაიწყო და 31 მაისის ჩათვლით გაგრძელდება. ბიზნესიდეების რეგისტრაცია ვებ-გვერდზე: www.qartuli.ge იქნება შესაძლებელი. კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა იმ ადამიანს შეეძლება, ვისაც ახალი ბიზნესის წამოწყება ან არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღება სჭირდება.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ორ ძირითად ეტაპს:

ბიზნესიდეების წარდგენა და ბიზნესგეგმის წარდგენა.

დაფინანსების მექანიზმი შემდეგნაირია:

ერთი მეწარმე სუბიექტი თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა 5 000 ლარი;

ორი მეწარმე სუბიექტი თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა 10 000 ლარი;

სამი მეწარმე სუბიექტი თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა 15 000 ლარი.

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პირს, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- არის საქართველოს სრულწლოვანი (18 წელს მიღწეული) მოქალაქე;
- არ არის საჯარო მოხელე;
- არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე;
- კონკურსებში გამარჯვების შემთხვევაში, განახორციელებს მინიმუმ 20%-იან თანხობრივ თანამონაწილეობას; მზად არის, ბიზნესგეგმების კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად, რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და დაინტერესებულმა პირებმა ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ წინა წლებში, პროექტში გამარჯვებული ბენეფიციარებიც.

–დიმიტრი ყიფიანის ოჯახის ისტორიები–

ნინო ტატიშვილი-ყიფიანისა

XIX საუკუნის საქართველოს ლიტერატურულ სივრცეზე დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა. სამოცდაათწლიანმა უღელმა ტაბუდადებულ თემად აქცია „მამულიშვილობა", „ერისკაცობა", „თავდადება"... ამ პერიოდში გაქრა ქართული წიგნის თაროდან დიმიტრი ყიფიანიც... შეძლებისდაგვარად, ეცადნენ, ქართველი კაცის ცნობიერებიდან ამოეშალათ და დავიწყებისთვის მიეცათ მისი საქმენი... თუმცა დრომ, ამ პირუთვნელმა მსაჯულმა, დაიბრუნა რა სიტყვის უფლება, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა...წმინდანის შარავანდედით შეამკო სამშობლოს საკურთხეველზე ზვარაკად შეწირული ერისკაცი. დღის სინათლემ მოიცვა ყველა ის საზოგადო მოღვაწე, რომელიც მისმა დიდმა ოჯახმა აღუზარდა ქვეყანას... დიმიტრი ყიფიანის შვილების, შვილიშვილების, ძმისშვილების და ბიძაშვილების გვერდით, რომლებიც ღირსეულად ეზიდებოდნენ ქართველობის ტვირთს, მოკრძალებული, მაგრამ მეტად საინტერესო ადგილი უჭირავს მის რძალს, ქართველ მწერალსა და მთარგმნელს, ნინო ბეჟანის ასულ ყიფიანს.

ნინო ბეჟანის ასული ტატიშვილი -ყიფიანისა დაიბადა 1867 წელს, გორის მაზრის სოფელ ძველეთში. იგი გახლდათ დიმიტრი ყიფიანის უმცროსი ვაჟის,კონსტანტინე ყიფიანის მეუღლე.

ნინო ყიფიანს ბავშვობიდან ჰქონდა კავშირი ქვიშხეთთან. მისი დეიდა, მარიამ (მონიკო) გიორგის ასული მირზაშვილი, ცოლად ჰყავდა დიმიტრი ყიფიანის ძმისშვილს,ვასილ იოსების ძე ყიფიანს. ამიტომ იყო, რომ ნინო ყიფიანი ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა დეიდასთან ქვიშხეთში.

ნინოს მამა ადრეულ ასაკში გარდაცვლილა. ქვრივმა დედამ, ეკატერინე მირზაშვილმა, რომელიც ძალიან ნაკითხი და განათლებული ქალი გახლდათ, (მან თითქმის ზეპირად იცოდა ვეფხისტყაოსანი), შვიდი ობოლი გაზარდა და შვიდივეს შესაფერისი განათლება მიაღებინა.

მოგეხსენებათ, როგორ კულტურულ ცენტრად და განათლების კერად ითვლებოდა იმ პერიოდში დიმიტრი ყიფიანის ოჯახი. ქვიშხეთში, დეიდასთან სტუმრად მყოფ ნინოს ხშირი შეხება ჰქონდა მათთან. მას,როგორც ბევრ ყმაწვილს ქვიშხეთში, სხვა სიკეთესთან ერთად,წერა-კითხვას დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი-ელენე ასწავლიდა. დიმიტრის ოჯახში გაიცნო კოტეც, მომავალი მეუღლე.

ნინო მთელ ზაფხულს ქვიშხეთელ ბავშვებთან ერთად ატარებდა. კოტე ყიფიანი ამ დროს შეღერებული, ლამაზი ბიჭი იყო და ალბათ, ამან განაპირობა, რომ ცხრა წლის ნინოს, ბავშვებთან რომ ქორწინობიას თამაშობდა, უნატრია: ნეტავი კოტე ჩემი ქმარი იყოსო... არ გასულა სულ შვიდი-რვა წელიწადი და ნინოს ბავშვობის ნატვრა აუსრულდა.

ნინოს ძმა, ნიკო ტატიშვილიც ბავშვობიდან მეგობრობდა კოტე ყიფიანთან. იგი ბორჯომში მასწავლებლად იყო და ზაფხულობით მინერალური წყლების კანტორასაც განაგებდა. ამ დროს ნინო გორში, ანასტასიას პროგიმნაზიაში სწავლობდა. 1884 წელს, როცა ჯერ თექვსმეტი წლისაც არ იყო, ნინომ დაასრულა ოთხი კლასი და საგაზაფხულოდ ძმას ბორჯომში ეწვია. სწორედ ბორჯომში, ნიკო ტატიშვილთან სტუმრობისას ნახა და თითქმის თავიდან გაიცნო კოტე ყიფიანმა თავისი მომავალი მეუღლე. მას ნინო ძალიან მოეწონა, მაგრამ თვრამეტი წლის სხვაობამ სერიოზულად დააფიქრა. თუმცა, დაინტერესდა, რამდენად გონებაგახსნილი იყო ეს ქალი და ამ მიზნით დაიწყო ნინოს გამოცდა: უსვამდა კითხვებს, აწერინებდა წერილებს...ნინო გულუბრყვილოდ ასრულებდა დავალებებს. ეჭვგარეშეა, ნონომ ჩინებულად ჩააბარა ეს გამოცდები...

კოტე ყიფიანის თხოვნით, ნიკომ თავის დას მიუგზავნა მასწავლებელი ქალი- რუნგე, რომელმაც ნინოს კოტეს გადაწყვეტილება შეატყობინა. ნინომ შორს დაიკავა: რა დროს ჩემი გათხოვებაა, ჯერ უნდა დავამთავრო საშუალო სასწავლებელი,შემდეგ რუსეთში უნდა წავიდე უმაღლესი განათლების მისაღებადო.. ნინო და კოტე ასე შეთანხმდნენ,– ნინო მორჩებოდა სწავლას და მერე შეუღლდებოდნენ. კოტემ მამას აცნობა ეს ამბავი და ნინოს სურათიც აჩვენა. დიმიტრიმ დახედა ნინოს სურათს და

–Отличио.отличио!- წარმოსთქვა.

-ერთი მაჩვენეთ ის შავტუხა გოგო, როგორ გაკეთდა ამდენად, რომ კოტეს მოეწონა!-წამოიძახა ელენემ.

კოტემ და ნინომ გადაწყვეტილება მალევე შეცვალეს-ჯვარი დაიწერეს...

ეს ამბავი რომ გორში გაიგეს, ნინოს მასწავლებლებს არ გახარებიათ, რადგან იქ ნინო საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა...

შემოდგა თუ არა ნინომ ფეხი დიმიტრი ყიფიანის ოჯახში, მაშინვე შეუდგა თვითგანვითარებას. დიმიტრი ასწავლიდა ფრანგულს, ელენე-მუსიკას...ნინო თანდათან განვითარდა და „ბოლოს კოტეს აღარ ვარცხვენდიო"-ხუმრობდა.

ნინო ყიფიანის სწავლა-განათლებაზე ზრუნვას, დიმიტრის მხრივ, თავისი მიზეზი ჰქონდა: ხედავდა რა მასში ნიჭსა და უნარს, აფასებდა და მიმართულებას აძლევდა, რომ მასში ჩამოყალიბებულიყო სწორედ ისეთი საზოგადო მოღვაწე, როგორიც მის ქვეყანას, მის გარემოცვასა და ოჯახს ეკადრებოდა

ნინო ყიფიანის მოგონებები და დიმიტრი ყიფიანის პირადი წერილები რძლისადმი, სრულ წარმოდგენას გვიქმნის მათ მამაშვილურ დამოკიდებულებაზე, იმ სითბოზე, პატივისცემასა და სიყვარულზე, რომელიც მათ ურთიერთობებს ადუღაბებდა...აი, როგორ ახასიათებს ნინო დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალებიდან ოცდახუთი წლის აღსანიშნავ წერილში: „...თავაზიანი, თავმდაბალი, დამთმობი, კეთილი, ყველას მოყვარული, ის უცბად ჰხდებოდა ამაყი, მკაცრი, მკვახე, დაუნდობელი, თუ ვინმე მის წმინდათა-წმინდას შეეხებოდა.

ხოლო ეს წმინდათა წმინდა იყო მისი სამშობლო. იგი უყვარდა უზომო სიყვარულით. უყვარდა მთელი მისი ნაკლულევანებით: შეგნებით, ჭკუითა, გულითა, მთელი არსებით."

პირველ ხანებში დიმიტრი ყიფიანი რძლის სურათს უბით ატარებდა და ასე აცნობდა ნათესავებს. სადაც უნდა ყოფილიყო ნინოსთვის უნდა გაეზიარებინა თავისი ფიქრი, ტკივილი, სულისკვეთება..

ასეთ წრესა და გარემოში მოხვედრილი ნინო გულისტკივილით წერდა ტრაგიკულად დაღუპული მამამთილის შესახებ: „მე მხოლოდ სამი წელი მხვდა ბედნიერ წილად მისი მძლავრი ჭკუის და მისი გავლენის ქვეშ ყოფილიყავი. პირველი დღიდანვე შვილივით შემიყვარა, ცდილობდა, სწავლა-განათლების მხრივ ჩემთვის ხელი შეეწყო, მაგრამ ამას ის მასწავლებლის კილოთი როდი მაჩვენებდა, არა, მესაუბრებოდა ყოველთვის ისე, თითქოს შემთხვევით სიტყვამ მოიტანაო... ჩვენი სალაპარაკო თემა მუდამ იყო სამშობლოს მტკივნეული საკითხები,საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, მისი აწმყო და მომავალი."

ნინო ყიფიანი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას ძვირფას მამამთილს, დიმიტრი ყიფიანს უმადლოდა. მას არ შეეძლო არ დაეფასებინა დიდი ქართული ტრადიციული ოჯახი, სადაც საფუძველი ჩაეყარა ჟურნალ „ცისკარსა" და ქართული თეატრის დაარსებას. მათთან ხშირად სტუმრობდნენ პოეტები: ალ.ჭავჭავაძე, გ.ორბელიანი,ნ. ბარათაშვილი, მ.თუმანიშვილი და სხვ. აქ წაიკითხა ილია ჭავჭავაძემ პირველად „მეფე ლირის"ქართული თარგმანი და ლირის როლი დ.ყიფიანს შესთავაზა.

იმიტომ იყო, რომ ბეჟან ტატიშვილის ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი და შემდგომ, დიმიტრი ყიფიანის ფრთებქვეშ გაზრდილი ნინო, თავიდანვე ზიზღით განიმსჭვალა კოლონიური პოლიტიკის მიმართ.

„1896წ გაზეთ „კავკაზის" რედაქტორის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე, ნინო ყიფიანმა სასტიკად გააკრიტიკა მეფის წყობილება. მისმა ამაღელვებელმა სიტყვამ ისე იმოქმედა რედაქტორზე, რომ მან ფეხზე ადგომით შესვა დარბაისელი მანდილოსნის სადღეგრძელო და ასე მიმართა მას: „მე ახლა მწამს ქართველი ქალის სიდიადე და მისი უკვდავება. ერს, რომლის შთამომავლობა ასეთ ქალებს ზრდის, არა უშავს რა, თუ აწმყოში არა, მომავალში მაინც დიდებული ერი შეიქმნება, იმას დიდებული სვეტი მოელისო".

ნინო იყო კარგი მეუღლე და დიასახლისი. კოტე ყოველთვის ანგარიშს უწევდა მის აზრს, რადგან ნინო იყო მისი სულიერი მეგობარი, კარგი მრჩეველი. აი,რას წერდა კოტე მეუღლის შესახებ: „მე ყოველივე ღონისძიებებით აპლოდისმენტების გამოწვევას არ ვცდილობდი. საზოგადოების აზრს მუდამ ვაფასებდი, ხოლო ჩემი საუკეთესო მსაჯული ჩემი მეუღლე,-ნინო ბეჟანის ასული იყო."

ნინო იყო შემფასებელი კოტეს ყოველი ნაბიჯისა სცენაზეც და ცხოვრებაშიც. ნინო ყიფიანის მოგონებები ფარდას ხდის კოტე ყიფიანის ცხოვრების იმ მტკივნეულ მონაკვეთს, როცა კოტე თანდათან შორდება თეატრს: , , - დ ა მ ა - მარცხეს ნინო, დამამარცხეს ცოცხლად დამმარხეს. სხვას ვხედავდი ჩემს როლში და გული ამოვარდნაზე მქონდა! რატომ? რად? ის ხომ ჩემსავით მაინც ვერ ითამაშებს და მე კი აქ, აი, აქ ვზივარ და შორიდან მაყურებინებენ!..."

ნინო ყიფიანი ქართული თეატრის დიდი მეცენატი იყო. მას კარგად ესმოდა იმ პერიოდის თეატრის მნიშვნელობა: „თეატრი არის ცოცხალი ნაწილი ცხოვრებისა და თუ ცხოვრებას უკან ჩამორჩა, უსათუოდ მოკვდება."-წერდა ნინო.

მან შექმნა ქვიშხეთის თეატრალური დასი და სასოფლო წარმოდგენებს მართავდა სურამში, ხაშურში, გორში.

პირველად მისი თაოსნობით დაარსდა სკოლა ქვიშხეთში. ასევე წიგნსაცავი სამკითხველო, ამარაგებდა საჭირო წიგნებით, ჟურნალებით, ავეჯით...

როცა ქვიშხეთს, დიდი ილია, ლუარსაბ ყიფიანის ქალიშვილის ქორწილში ესტუმრა, მაშინ დიმიტრი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ ნინომ დიდებულად მიიღო. წვეულებაზე სიტყვის თქმა ნინოს სთხოვეს..

„პირველი იყო ეს, რომ საჯაროდ მეთქვა სიტყვა, -წერს ნინო, -ავდექი, მაინც შევხედე ილიას, ღიმილით შემომცქერის, თითქოს მამხნევებს, უცებ, მაგონდება მისი ანდერძი ქართლის დედისადმი:

„ქართლის დედაო,ძუძუ ქართვლისა,
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა,
დედის ნანასთან ქვითინი მთისა,
მას უმზადებდა მომავალ გმირსა."

მის ლექსზე ვაშენებ პატარა სიტყვას გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველი ქალის გადაგვარებას და მე, სინანულის გრძნობით ბოდიშს ვუხდი ილიას, რომ უშვილო ქართველი ქალი ვერ უსრულებს ანდერძს...ქალის მიერ საჯაროდ წარმოთქმულმა სიტყვამ ყველაზე იმოქმედა. გაისმა მქუხარე ტაში. დამიწყეს აქეთ-იქიდან კოცნა, მაგრამ ჩემი ყურადღება მხოლოდ და მხოლოდ ილიასკენ იყო მიქცეული. აქამდე თავდახრილმა პირველად იმას შევხედე. იგი გაშტერებით მიყურებდა, თითქოს ფიქრობდა იმ ქართველ დედაზე, რომელსაც უნდა ეხსნა ზვირთებქვეშ მგმინავი საქართველო."

ნინო ყიფიანმა თავის მოღვაწეობას სწორედ დიდი ილიას შეხედულებები დაუდო საფუძვლად,რომ ქალიც ასევე უნდა იღვწოდეს განათლების,მეცნიერების და ლიტერატურის სფეროში, როგორც მამაკაცი.

1895 წელს გაზეთ „ივერიის' ფურცლებზე ნინო წერდა: „დედაკაცი უძლიერესი და უმძლავრესი მოქმედი ძალაა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, დაუნახაობა დედაკაცის, ამ დიდი მნიშვნელოვანი მოვლენის, მომასწავლებელია იმისა, რომ ვერ დაუფასებიათ რიგისა და ღირსების მებრძოლნი ძალნი, რომელნიც საზოგადოებრივ შემოქმედებაში მონაწილეობენ. დედაკაცს შეუძლია სასარგებლოც იყოს და საშიში მეტრიც. დედაკაცს თან მოაქვს გამარჯვება და დამარცხება. დედაკაცი ძალაა ჯერჯერობით დაფარული და დაგუბებული."

ნინო ყიფიანი წევრი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა. მისი თაოსნობით 1907 წელს დაარსდა ე.წ.„ი.ჭავჭავაძის სახელობის ფონდის" გასაძლიერებლად თბილისის ქალთა წრის კომისია, რომელიც შეიქმნა ილიას ტრაგიკულად დაღუპვის დღეებში.

კლარა გელაშვილი

(დასასრული მომდევნო ნომერში)

მე არ მინდა შეუბღუდავი დემოკრატია

სახელმწიფოში, საზოგადოებრივი განვითარების გზაზე, ცხოვრების დემოკრატიული პრინციპების თანდათანობით დანერგვა იმ მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის შედეგია, რომელსაც საფუძვლად ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებანი ედო. ეს ქმედებანი, ზოგიერთ შემთხვევაში, ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა, ზოგიერთში კი – ორგანიზებულს, რასაც თან სდევდა ჩაგრულთა ჯგუფების ფართომასშტაბიანი გალაშქრებანი და რევოლუციები.

დემოკრატია ისეთი ქოთანია, რომელსაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი ყურს იქედან უკეთებენ, საიდანაც მეტ სიმშვიდეს და მოგებას ნახულობენ.

ისტორია და ყოველდღიურობა სავსეა ისეთი ფაქტებით, როცა დემოკრატიის სახელით მრავალ უკეთურობას სჩადიოდნენ ცალკეულ პიროვნებათა და ჯგუფთა მიმართ.

დემოკრატია კარგი რამაა, მაგრამ მე არ მინდა ისეთი დემოკრატიული განვითარება, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება არ ეყრდნობა მორალურ-ზნეობრივ პრინციპებს, ეროვნულ ტრადიციებს და კანონი არ არეგულირებს თავისუფლების ჩარჩოებს.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, სადაც თავისუფლებასა და თავაშვებულობას შორის წაშლილია ადამიანურობის ზღვარი, თავისუფლების სახელით სირცხვილად აღარ ითვლება სქესობრივი აღვირახსნილობა და ღალატი.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, სადაც პიროვნული თავისუფლების სახელით შეიძლება მამაკაცის მამაკაცთან და ქალის ქალთან ქორწინება.

მე სოფელში გაზრდილ-დაბერებული კაცი ვარ და საქონლის ნახირშიც კი არ მინახავს ხარის ხართან და ძროხის ძროხასთან შეჯვარება, თუმცა, არის ერთმანეთთან წაპოტინების შემთხვევები, ადამიანებში ამას პედერასტიას და ლესბოსს უწოდებენ.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, როცა მოქალაქენი სახელმწიფოს წინაშე არავითარ ვალდებულებებს არ გრძნობენ და ანაზღაურების გარეშე თითის თითზე დადებაც არ უნდათ, სადაც ახალგაზრდობა არ იზრდება მამა-პაპათა ბრძოლისა და შრომის საამაყო ტრადიციებზე, არ უნდათ სამშობლოს სადარაჯოზე ერთი ღამის გათენებაც კი, თუმცა, ფეხზე ადგომით სვამენ სამშობლოსა და მისთვის დაღუპულ გმირთა სადღეგრძელოს.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, სადაც სახელმწიფო თვითნებობამდე უშვებს ცალკეულ ინსტიტუტებს და აცხადებს, რომ არ ერევა ბიზნესის, ბანკების, სასამართლო, საგამოძიებო, კერძო, საქმეებში. ტრანსპორტის, საწვავის, სამედიცინო-სამკურნალო საშუალებათა ფასწარმოქმნის, პრესის, წყალმომარაგების, ენერგეტიკის და ა.შ. საქმიანობებში.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, სადაც ქამრებს ერთნი იჭერენ, რომ გადაძღომით არ გასკდნენ, ხოლო მეორენი კი იმისათვის, შიმშილით სული არსაით გაეპაროთ.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, სადაც მოქალაქეს ყველაფრის თქმის უფლება აქვს, ზემდგომნი ისმენენ მათ გულისტკივილს, თავიანთ ზემდგომებს თვალებში შესციცინებენ და ისე მოქმედებენ, როგორც მათ გაეხარდებათ, ასე ზემდგომ-ზემდგომის ყურებაში ყალიბდება მაამებლობის ატმოსფერო და ყველაზე ზემდგომამდე მიდის მხოლოდ შელამაზებული ინფორმაცია, ამის გამო ფესვს იდგამს თვითკმაყოფილების სინდრომი. ზემოთ კი, ფარულად თუ აშკარად, არჩევენ ვინ უფრო ზემდგომია.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, სადაც არ არის უზრუნველყოფილი კანონის უზენაესობა და მოქმედებს შერჩევითი სამართალი, სადაც არავინ ისჯება პრეზიდენტების ძალისმიერი მეთოდებით დამხობისა და ამასთან დაკავშირებული ნგრევისა და ხოცვა-ულეტვის გაჩაღებისთვის, სადაც სასამართლოებს შეკვეთით გამოაქვთ უსამართლო განაჩენები, ხოლო ის მოსამართლენი, რომელთა უკანონო გადაწყვეტილებების გამო მრავალი მოქალაქე დაიტანჯა და განადგურდა ფიზიკურად, მორალურად, ფსიქოლოგიურად თუ ეკონომიკურად, დაუსჯელად აგრძელებენ მოღვაწეობას, სადაც დამარცხებული შეუზღუდავად და გამარჯვებულად გრძნობს თავს, არ აღიარებს თავის შეცდომებს და ამაყად დააბიჯებს ხალხში.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, სადაც კანონი ქადაგებს მის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას, სინამდვილეში კი ადგილი აქვს გარკვეულ თანამდებობის პირთა ხელშეუხებლობას, რის გამოც მოსამართლეებს, ჟურნალისტებს, დეპუტატებს და ა.შ. თავი ღმერთად მიაჩნიათ და მათი კრიტიკის გამოც კი კანონის გამკაცრებას ითხოვენ. ე.ი. უნდა შევქმნათ კანონები ცალ-ცალკე მოსამართლის, ჟურნალისტის, პოლიციის, პროკურორის, ექიმის, მასწავლებლის, მინისტრის, გამგებლის, მეტყევის, მწყემსის, მთიბავის, მზარეულის, დამლაგებლის, მეწარმის, მოვაჭრის, მყიდველის, გამყიდველის, პურის მცხობელის, დურგლის, კალატოზის, მძღოლის, მეფრინველის, მეცხოველის, მუსიკოსის, მხატვრის და ა.შ. დასაცავად და ერთი და იგივე შეურაცხმყოფელი სიტყვისთვის, რომელიც მიმართულია ჩამოთვლილ და სხვა პირთა მიმართ, გავითვალისწინოთ სხვადასხვა ზომის სასჯელი. მაგალითად, თუ მოსამართლეზე იტყვიან, რომ ის არის უპატიოსნო, მთქმელი ჩავსვათ ციხეში, ხოლო თუ ამას იტყვიან მზარეულის მიმართ, მთქმელი დავაჯარიმოთ ათი ლარით, თითქოს მოსამართლის, როგორც მოქალაქის, ღირსება უფრო მაღლა დგას, ვიდრე მზარეულის. თუ ისინი ღირსებას უფრთხილდებიან, ერთმა სამართლიანად აღასრულოს სამართალი, მეორემ კი მოამზადოს სასიამოვნო კერძები. ასეთ შემთხვევაში, ისინი თავისთავად იქნებიან დაცულები.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, სადაც გათანაბრებულია პროფესორის და რიგითი მუშაკის, ორმოცდაათი და ხუთი წლის სამუშაო სტაჟის მქონე პირთა პენსიები.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, სადაც არჩევნების დამთავრებისთანავე ტყდება ხიდი არჩეულსა და ამომრჩეველს შორის, სადაც მათი შემდგომი ურთიერთობა (თუნდაც ტელეფონით) შემთხვევითობაზეა დამოკიდებული და არა - ამომრჩევლის სურვილზე.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, სადაც ცალკეული მოხელენი თვეში იღებენ რამდენიმე ათეული ათასი ლარის ანაზღაურებას, მაშინ როცა საარსებო მინიმუმი განსაზღვრულია 150 ლარის ოდენობით.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, სადაც ჩემი ქვეყნის ცხოვრება რეგულირდება უცხოელთა შეხედულებების, კარნახისა და სურვილების მიხედვით, სადაც ჩვენს საამაყო ტრადიციებს არ ითვალისწინებენ, სადაც ქალი ფულის გამომუშავების მიზნით სახალხოდ გამოფენს და უჩვენებს თავისი სხეულის ნებისმიერ ნაწილს და მზადაა უჩვენოს სქესობრივი აქტის პროცესი, სადაც თავისუფლებასა და თავაშვებულობას შორის საზღვარი წაშლილია, სადაც სიყვარული ხვევნა-კოცნა ჰგონიათ.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, სადაც თანამდებობრივ სკამზე წამოსკუპება უფრო ადვილია, ვიდრე იქედან ჩამოსკუპება, ანუ აირჩევ და ვეღარ გადაირჩევ.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, სადაც ყვავ-ყორნის უცხოურ ენაზე ჩხავილს უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე ბულბულის მშობლიურ ენაზე გალობას.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, სადაც „უფროსთან“ შეუთანხმებლად საკუთარი აზრის გამოთქმის გამო, შეიძლება ისე გაგრიყონ, რომ ახლოსაც აღარ გაგიკარონ.

მე არ მინდა ისეთი დემოკრატია, როცა სამშობლოდან უცხოეთში მუშახელი გაედინება, ხოლო სისხლით შემონახულ მშობლიურ მიწას უცხოელები ძალით, ფულით ან ცბიერებით ისაკუთრებენ.

მე კიდევ ბევრი რამე არ მინდა, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას უარყოფითი გავლენებით ხელს უშლის უკეთესობისაკენ წინსვლაში, მაგრამ იმედი მაქვს ქართველ ხალხს ეყოფა გონიერება, რომ დაძლიოს ყველა სიძნელე, ჩადგეს პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანათა რიგებში.

დემოკრატია სრულ თავისუფლებას არ ნიშნავს, სრულიად თავისუფალი მხოლოდ გიჟები არიან, მაგრამ საოცარია, რომ ფსიქიურად დაავადებულები თავიანთი სასქესო ორგანოების დემონსტრირებას არასოდეს ახდენენ, ე.ი. ჩვენს მიერ შეცნობილი მორალის, ზნეობის და სირცხვილის გრძნობის მიღმა არსებობს კიდევ რაღაც ქვეცნობიერი, რომელიც არეგულირებს ნებისმიერი ადამიანის ქმედებას და ცხოველისგან განსხვავებულობას.

სრული დემოკრატია და თავისუფლება-თავაშვებულობის შეუზღუდაობა დაღუპავს ქვეყნის მომავალს. ეს რომ არ მოხდეს, ზოგიერთ საკითხებში აუცილებელია შეზღუდვების ზომიერად გამოყენება, სხვაგვარად ცხოვრება ჭირვეულ ბავშვს დაემსგავსება და მის ნორმალურ ჩარჩოებში მოქცევა პრობლემად გადაიქცევა.



მე მინდა შეზღუდული დემოკრატია და არა დიქტატურა. მინდა ვიცხოვრო ისეთ საქართველოში, სადაც ბავშვებს არ შიათ, არ ცივათ, სამოსელი და გასართობი საშუალებები არ აკლიათ, სადაც დაუძლურებული მოხუცებისათვის უზრუნველყოფილია ღირსეული სიბერე. ეს სრულიადაც არ არის მიუღწეველი თუ სახელმწიფო გადადგამს ნაბიჯს სოციალური სფეროს გაადამიანურობისაკენ.

რა თქმა უნდა, ცხოვრების პირობების გათანაბრება არასოდეს მოხდება მზისქვეშეთში, მაგრამ კუჭის პრობლემის გადაწყვეტა არც ისე რთულია.

მე მინდა, ვიცხოვრო ისეთ საქართველოში, სადაც მრავალშვილიანობა ისევ საამაყო გახდება, დემოგრაფიული მდგომარეობა გამოსწორდება და ქალს შვილის გაჩენისა აღარ შეეშინდება, მისი გამოკვების სიძნელეების გამო.

მე მინდა ვიცხოვრო გაერთიანებულ, სულიერ-ხორციელად მდიდარ საქართველოში, რომლის შექმნაში მთავარი როლი ჯანსაღად მოაზროვნე პატრიოტმა, მშრომელმა, ბრძოლისუნარიანმა და არა შიმშილით მილასლასებულმა ადამიანებმა უნდა შეასრულონ.

ადამიანის ცნობიერების გარდატეხვას დიდი დრო ჭირდება. მხოლოდ სიკვდილის წინ ხვდებიან ადამიანები, რომ აზრი არ ჰქონია დიდი სიმდიდრის დაგროვებას. მიწისქვეშეთში ყველა თანასწორია და არავის არაფერი სჭირდება.

ასეთია ბუნების კანონი!

რევაზ გრიგალაშვილი

ხაშურის ოფიციალური დელეგაცია პოლონეთში - ქალაქ ცარნოვის მუნიციპალიტეტში

პოლონეთში, ტარნოვის მუნიციპალიტეტში, "ეროვნული კონსტიტუციის დღის" აღსანიშნავად, ხაშურის მუნიციპალიტეტიდან ოფიციალური დელეგაცია იმყოფებოდა. ღონისძიება 3 მაისს, ვოლა რზედჯინსკაში, ტარნოვის გმინაში გაიმართა. ოფიციალურ მიღებაზე, ხაშურის მუნიციპალიეტის

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენელმა მთვარისა ძინძიბაძემ, მიულოცა დღესასწაული პოლონელ ხალხს და მათთან ურთიერთობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ღონისძიების ბოლოს, პოლონეთის არმიის გმირების მემორიალი, პოლონეთის ოფიციალურ პირებთან ერთად, გვირგვინით შეამკო ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა თეიმურაზ ლომუაშვილმა, რომელმაც ჩვენთან საუბარში მსგავსი ვიზიტების მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე ისაუბრა:

–3 მაისს აღინიშნება პოლონეთის კონსტიტუციის დღე. პოლონეთის კონსტიტუცია არის მსოფლიოში მეორე და ევროპაში პირველი, რომელიც

ყველაზე ადრე იქნა მიღებული. მიწვეული ვიყავით ხაშურთან დამეგობრებულ ქალაქ ტარნოვის გმინაში(მუნიციპალიტეტი). მათი წარმომადგენლებიც რამდენიმე წელია უკვე სტუმრობენ ჩვენ მუნიციპალიტეტს ქალაქის დღესასწაულზე. წელს, ჩვენც მიგვიპატიჟეს. ძალიან თბილად და მეგობრულად დაგვხვდნენ. 3-ში იყო ოფიციალური მიღებების დღე. დანარჩენი ორი დღე ეთმობოდა მათი ქალაქის გაცნობას, უძველესი ქალაქის, კრაკოვის დათვალიერებას.

მინდა, ასეთი შეხვედრების და ვიზიტების მნიშვნელობაზე ვისაუბრო. ჩვენ განვითარების ეტაპზე ვიმყოფებით და როგორც ქვეყნისთვისაა მნიშვნელოვანი ევროპისკენ სწრაფვა, ევროპული ღირებულელების გაცნობა, ასევეა ჩვენი ქალაქისთვისაც. იყო შემოთავაზება საბავშვო ბაღების პროგრამის

წარმომადგენლისგან, რომ მოხდეს შედარებით მცირე ასაკის ბავშვების გაცვლა, ბავშვები გარკვეული პერიოდით იცხოვრებენ ოჯახებში, გაეცნობიან მათთვის უცხო ქვეყნის კულტურას, თანატოლთა ცხოვრებას და ა.შ. ბევრი პროექტის და პროგრამის განხორციელებაა შესაძლებელი ერთობლივად. მთავარი გზავნილი ისაა, რომ ევროკავშირი არის უალტერნატივო. თუ რამე კეთდება დღეს პოლონეთში, ევროკავშირის დაფინანსებითაა. რაც ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია.

თ. ჯავახიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სათათბირო წარმომადგენლობითი გაერთიანება - დირექტორთა საბჭო შეიქმნა

დირექტორთა საბჭოს საქმიანობაა - განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების/პროექტების/ცვლილებების პროცესში ჩართულობა, ინფორმაციის ურთიერთგაზიარება, პრობლემურ საკითხებზე გადაწყვეტის გზების შეთავაზება და სხვა.

დირექტორთა საბჭო დაკომპლექტდა შემდეგი კატეგორიის მიხედვით:

რეგიონის საჯარო სკოლებიდან - 11 წევრი;

დედაქალაქის საჯარო სკოლებიდან – 5 წევრი;

დიდი ქალაქების საჯარო სკოლებიდან – 3 წევრი;

მაღალმთიანი საჯარო სკოლებიდან – 2 წევრი;

ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების საჯარო სკოლებიდან – 1 წევრი;

კერძო სკოლებიდან – 5 წევრი;

სპეციალიზირებული სკოლებიდან – 1 წევრი;

ეროვნული უმცირესობების სკოლებიდან – 2 წევრი;

მცირეკონტიგენტიანი სკოლებიდან - 1 წევრი;

პროფილური სკოლებიდან - 1 წევრი;

დირექტორთა საბჭოს წევრთა შერჩევა ხდება ონლაინ-არჩევნების გზით.

საბჭოს არჩევნები ტარდება სამ ეტაპად:

კანდიდატურის წარდგენა - რეგისტრაცია;

კანდიდატებისთვის ხმის მიცემა - კენჭისყრა;

ხმების დათვლა და გამარჯვებულთა გამოვლენა.

არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა საჯარო და კერძო სკოლის დირექტორი და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი პრინციპით - ერთი დირექტორი/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (სკოლა) ერთი ხმა.

ხმის მიცემა ხორციელდება ონლაინ რეჟიმში, ფარულად.

საქართველოს დირექტორთა საბჭოში შიდა ქართლის რეგიონს სსიპ ქალაქ ხაშურის 1 საჯარო სკოლის დირექტორი **მორის დანდურიშვილი** წარმოადგენს.

სპეციალისტი გვირჩევს -

ვენახების მოვლას - მეტი ყურადღება

შიდა ქართლის ზონა განსაკუთრებულია საქართველოს მევენახეობა - მეღვინეობის რაიონებიდან.

ვაზისათვის უნიკალური მიკროკლიმატით გამოირჩევა ჭერათხევის ხეობა, სურამისა და ტაშისკრის მიკრორაიონები.

აქ გავრცელებულია აბორიგენული და შემოტანილი ვაზის ჯიშები - გორული მწვანე(ქვიშხურა), ჩინური, ალიგოტე, ძელშავი, შავკაპიტო, თავკვერი, პინო და სხვ., საიდანაც მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინოები და საშამპანურე მასალა მზადდება.

თავის დროზე ხაშურის რაიონის მხოლოდ სახელმწიფო მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში არსებული 1 000 ჰექტარზე მეტი ვენახის ფართობიდან სურამის ღვინის ქარხანას ბარდებოდა 6 000 ტონა ყურძენი.

თუმცა, დღეისათვის აღარც ეს ვენახები არსებობს და სურამის ღვინის ქარხანაც გაქრა.

ეს ძვირფასი დარგიც მოისპობოდა, რომ არა ვაზის სიყვარული და რაიონის თითქმის ყველა სოფელში შემორჩენილი პროფესიონალ მევენახეთა სიმრავლე;

ნაბახტევი - სერგო მჭედლიძე, ბრილი - გურამ ნოზაძე, სურამი - თემურ ლომიძე, დუმაცხოვი - ალექსანდრე დვალაშვილი, ქვიშხეთი - გივი ცუცქირიძე, ბეკამი - პაატა ლალუაშვილი, ფლევი - დიმიტრი ნოზაძე, წადვლი - ჯუმბერ კილაძე და სხვანი.

მათი სამეურნეო საქმიანობის შესახებ მკითხველი ახლო მომავალში მიიღებს ინფორმაციას, ეხლა სხვა დარგებთან შედარებით მევენახეობის უპირატესობაზე ვთქვათ რამდენიმე სიტყვა.

რას ნიშნავს ვაზი ქართველი კაცისათვის, ალბათ, ზედმეტი იქნება ამის შეხსენება.

მევენახეობა ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეკონომიკაში და სოფლის მცხოვრებთათვის შემოსავლის მყარი წყარო იყო;

ვაზი კარგად ვითარდება ისეთ ნიადაგებზე, სადაც სხვა სასოფლო - სამეურნეო კულტურების მოყვანა თითქმის შეუძლებელია ან მცირე ეფექტს მოგვცემს - ფერდობები, ხირხატი და ქვიანი ნიადაგები, სილნარი და ა. შ.

ვაზი გვალვის ამტანი მცენარეა, სათანადოდ შერჩეულ საძირეებზე მისი ფესვთა სისტემა ნიადაგის ღრმა ფენებიდან იღებს საკვები ნივთიერებებისა და ტენის საჭირო რაოდენობას;

სხვა მრავალწლიან მცენარეებთან შედარებით ვაზი ადრე იწყებს მოსავლის მოცემას.

სრულმსხმოიარე ვენახის ერთი ჰექტარზე 10 ტონა ყურძნის მიღებაა შესაძლებელი;

ვაზიდან მიღებული მოსავალი მრავალი დანიშნულებით გამოიყენება, მისგან შეიძლება დამზადდეს შემდეგი სახის პროდუქცია:

ს უ ფ რ ი ს ყ უ რ ძ ე ნ ი, რომელიც საუკეთესო დიეტური და გემოვანი საკვებია, ამავე დროს, სამკურნალო საშუალებასაც წარმოადგენს;

ქ ი შ მ ი შ ი, შენახვის დიდი უნარიანობით ხასიათდება და როგორც ტკბილეულის ძვირფასი სახეობა, წარმატებით გამოიყენება საშაქარლამო წარმოებაში;

ყ უ რ ძ ნ ი ს წ ვ ე ნ ი, როგორც უალკოჰოლო პროდუქციის ერთ - ერთი სახეობა, ძვირფასი დიეტური საკვებია. ყურძნის შესქელებული წვენი, ანუ ბადაგი, თავისი ღირსებითა და კვების უნარიანობით არ ჩამოუვარდება კარაქსა და თაფლს;

ღ ვ ი ნ ო, ყურძნის პროდუქციის ძვირფასი სახეობაა, ამ პროდუქტს უამრავი სასარგებლო თვისება გააჩნია.

ნარჩენი მასა ლ ე ქ ი ს ა ნ თ ხ ლ ე ს სახით გამოიყენება ღვინის სპირტისა და ღვინის ქვის დასამზადებლად.

ყურძნის გამოწურვის შედეგად დარჩენილი ჭ ა ჭ ა გამოხდის შემდეგ იძლევა სპირტსა და არაყს;

გამოიყენება ყურძნის წიპწა, ვაზის ვეგეტაციური ნაწილები და ა. შ.

სამუშაო ოპერაციების მრავალსახეობის მიხედვით ვენახში წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული სხვადასხვა ასაკის მუშახელი.

ფაქტიურად, ვაზის სასოფლო - სამეურნეო წარმოება უნარჩენოა.

ამასთან, ვენახის მოვლა უნდა ეფუძნებოდეს ცოდნასა და სიყვარულზე დაფუძნებულ შრომას;

ჩამოთვლილი და სხვა ღირსებების გათვალისწინებით ვენახი თითოეული ჩვენგანისგან მეტი ყურადღების ღირსია, ყველამ უნდა ვიზრუნოთ ამ დარგის აღსადგენად.

ავთანდილ გოგალაძე,
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

მიეძღვნა დათუნიკა სხირტლაძის ხსოვნას

მიშიკო კობახიძე,ბაჩი ჯოხაძე,დავით მაისაშვილი,დავით ნატმელაძე,ვლადიმერ გოგოლაძე, თემურ გოცირიძე, დავით სხირტლაძე-ამ შემადგენლობით წარსდგა ამბროლაურის ფოლკლორული ანსამბლი „რაეო“, 10 მაისს, ხაშურელი მსმენელის წინაშე და საღამო ცნობილი ხელოვანის- დათუნიკა სხირტლაძის ხსოვნას მიუძღვნა.



დათუნიკა სხირტლაძე, რაჭული ანსამბლ “რაეოს” მტხატვრული ხელმძღ

ვანელი იყო. მანამდე ჯგუფ “შინსა” და ანსამბლ “რუსთავში” ცეკვავდა. მისი შექმნილია ცნობილი რაჭული ცეკვა “ტაში, ბიჭო, გიორგუნა”.

დათუნიკა სხირტლაძე მშობლიურ ამბროლაურში, კონცერტის დროს, სცენაზე გარდაიცვალა,თუმცა ჯგუფი „რაეო“ არ დაიშალა და შემოქმედებითი საქმიანობა განაგრძო.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მუსიკალურ სკოლაში გამართულ საღამოზე, რომელსაც ჟურნალისტი გოგი გოგალაძე უძღვებოდა, ნაჩვენები იყო ნაწყვეტები ძველი კონცერტებიდან, გაიხსნეს დათუნიკას შემოქმედებითი საქმიანობა და ტრადიციულად შესრულდა ცნობილი რაჭული ცეკვა თუმცა, ამჯერად მიშიკო კობახიძის შესრულებით.

დასასრულს ჯგუფის წევრებმა მადლობა გადაუხადეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გურასპაშვილს, კულტურის სამსახურს და აღნიშნეს, რომ ხაშურლების და რაჭველების მეგობრობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

-ფეხბურთი-

ხაშურელმა გოგონებმა ყვავ გვასახელეს

6-7 მაისს, ხაშურის კულტურისა და დასვენების პარკში არსებულ ხელოვნურსაფარიან მოედანზე, ჩატარდა სასპორტო სკოლის ღია პირველობა ფეხბურთში, გოგონათა შორის.

ტურნირში მონაწილეობას ღებულობდნენ, ხაშურის, ლანჩხუთისა და ქობულეთის სასპორტო სკოლის გოგონათა გუნდები. საპრიზო ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით გადანაწილდა:

I ადგილი - ხაშურის გოგონათა გუნდი;

II ადგილი - ლანჩხუთის გოგონათა გუნდი;

III ადგილი - ქობულეთის გოგონათა გუნდი;

ტურნირზე ხაშურის გოგონათა გუნდი მწვრთნელებმა **თემურ კობერიძემ** და **ირმა ლომიძემ** მოამზადეს.

,,იპოვე შენი მომავალი ბიბლიოთეკაში“

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ყოველწლიურად იგეგმება „საბიბლიოთეკო კვირეული“, რომელიც გულისხმობს, საქართველოს მასშტაბით, ყველა მოქმედ ბიბლიოთეკაში სხვადასხვა ღონისძიებების და აქტივობების განხორციელებას. 2017 წელს კი კვირეული მიმდინარეობდა 28 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით.

28 აპრილს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული. კვირეულის გახსნის ფარგლებში გაიმართა წიგნის “ბიბლიოთეკარი პროზაიკოსი” პრეზენტაცია. აგრეთვე ჩატარდა ბიბლიოთეკების კონკურსი თემაზე “ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკების მეშვეობით”.

საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნაში მონაწილეობისთვის, პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და საბიბლიოთეკო ასოციაციამ, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას სიგელი და წიგნები გადასცა.

საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში,2 მაისს,ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტ თათია მთვარელიძეს უმასპინძლა.

შეხვედრაზე თათიამ საინტერესოდ ისაუბრა ძველ ბერძნულ, კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურაზე და მსმენელი საკუთარი თარგმანებით აზიარა ბერძენი პოეტის კიკი დიმულას შემოქმედებას, ბიბლიოთეკას კი - საჩუქრად გადასცა წიგნები. დამსწრე საზოგადოებას შორის იყვნენ სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებიც, რომლებმაც აღნიშნეს, რომ თათიას საუბრის შემდეგ აუცილებლად გაეცნობიან ბერძნულ ლიტერატურას და წაიკითხავენ წიგნებს, რომლებიც თათიამ ურჩია მათ.

შეხვედრის ბოლოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა ნინო კიკნაძემ ბიბლიოთეკასთან აქტიური თანამშრომლობისათვის მადლობის სიგელები გადასცა ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს ზვიად გოგუაძეს, ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორს მორის დანდურიშვილს, წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების სტუდენტს - გიორგი ჩუბინიძეს და ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის პედაგოგს - ნინო დოფიძეს.

სიგელები გადაეცათ 2016 წლის საუკეთესო მკითხველებსაც და ასევე, მოსწავლეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებით ჩატარებულ ინტელექტუალურ თამაშში „ რა, სად, როდის?“

საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში, 4 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა პროფესორის, პოეტის ცირა ბარბაქაძის ახალი წიგნების “სიყვარულის მეტაფორები” და “სემიოტიკური წარ(მო)დგენა” პრეზენტაცია და “პოეზიის აფთიაქის” პერფორმანსი.

დამსწრე საზოგადოებას შორის იმყოფებოდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები: ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე და კულტურის სამსახურის უფროსი კოტე ფრუიძე.

5 მაისს, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, ილიას სახელმწოფო უნივერსიტეტში გაიმართა საბიბლიოთეკო კვირეულის დასკვნითი ღონისძიება – სახელწოდებით „მკითხველზე ორიენტირებული მიდგომები თანამედროვე ბიბლიოთეკაში“.

ღონისძიებაზე მიწვეული იყვნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომლებიც დაესწრნენ მათთვის საინტერესო და საკუთარ საჭიროებებზე მორგებულ პრეზენტაციებს.

ღონისძიების დასასრულს მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.